საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/82

ქ. ბათუმი

22 თებერვალი, 2023 წ.

ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო 2022- 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის სწავლის საფასურის ადმინისტრირების მენეჯერის 2023 წლის 16 თებერვლის MES 7 23 0000184130 და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 22 თებერვლის MES 0 23 0000212258 სამსახურებრივი ბარათებით წარმოდგენილი იქნა ამავე ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის იმ სტუდენტთა შესახებ ინფორმაცია, რომელთაც ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 ოქტომბრის N01-02/259 ბრძანებით დამტკიცებული აკადემიური კალენდარის თანახმად 2023 წლის 01 ნოემბრის ჩათვლით გავლილი აქვთ 2022 - 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია, მაგრამ არ გაუვლიათ ადმინისტრაციული რეგისტრაცია და 2023 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით აქვთ სწავლის საფასურის დავალიანება.

ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის'' (შემდეგში - ,,წესი") მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად: ,,2. ბსუ-ში სწავლის მე-3 სემესტრიდან და ყოველ მომდევნო სემესტრში, სწავლის წლიური საფასურის ნახევარი, როგორც წესი, გადახდილი უნდა იქნეს (ადმინისტრაციული რეგისტრაცია გავლილი უნდა იქნეს) არაუგვიანეს ახალი სემესტრის დაწყებამდე 2 კვირის ვადაში (თუკი ბსუ-ს რექტორის ბრძანებით, სტუდენტთა მოზიდვის შესახებ შესაბამის კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმით ან სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა ვადა არ არის გათვალისწინებული). ამავე წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად: ,,3. სწავლის მე-2 წლიდან (მე-3 სემესტრიდან) სტუდენტს შეუჩერდება ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, თუკი დადგენილ ვადაში გაივლის ამ სემესტრის აკადემიურ რეგისტრაციას, მაგრამ არ გადაიხდის სწავლის საფასურს სრულად (არ გაივლის ადმინისტრაციულ რეგისტრაციას).''

ზემოაღნიშნული წესის, ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის სწავლის საფასურის ადმინისტრირების მენეჯერის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე მიზანშეწონილია და კანონშესაბამისი დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის 2022 - 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის საფასურის დავალიანების მქონე სტუდენტთა მიმართ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ რექტორის ბრძანების გამოსაცემად.

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 და 66–ე მუხლების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე **სწავლის საფასურის გადახდის წესის** დამტკიცების თაობაზე'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 28 ოქტომბრის N01-02/259 ბრძანებით დამტკიცებული ,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის'' ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის **2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის''** (ცვლილება 2023 წლის 18 იანვრის N01-02/06 ბსუ-ს რექტორის ბრძანებით) ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის სწავლის საფასურის ადმინისტრირების მენეჯერის 2023 წლის 16 თებერვლის MES 7 23 0000184130 და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის 2023 წლის 22 თებერვლის MES 0 23 0000212258 სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში დაიწყოს **ადმინისტრაციული წარმოება** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის იმ სტუდენტთა **მიმართ (წინამდებარე ბრძანების დანართი №1),** რომელთაც 2023 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით სრულად არ გადაუხდიათ სწავლის საფასური.

2. ბსუ-ს სტუდენტის **სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2023 წლის 1 მარტის შემდეგ,** ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად.

3. წინამდებარე ბრძანება ითარგმნოს ინგლისურ ენაზე და შესაბამის ინფორმაციასთან ერთად განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ინგლისურენოვან ველში).

4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ყველა

სტუდენტის ინდივიდუალური ინფორმირება, ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ სასწავლო პროცესის ადმინისტრირების პროცესში შექმნილი საკომუნიკაციო ყველა საშუალების გამოყენებით (სტუდენტთა საჯარო ინფორმირება) და ადმინისტრაციული წარმოების პროცესის საბოლოო შედეგების/მონაცემებს წარმოდგენა, სწავლის საფასურის დავალიანების მქონე პირებისათვის ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის მიზნისათვის.

5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს და ნანა მაზმიშვილს (თარგმნისათვის).
7. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობის გამო 2022- 2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე"

ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 22 თებერვლის № 01-08/82 ---------- ბრძანების

დანართი №1

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის" ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო (ინგლისურენოვანი) პროგრამის **39 სტუდენტი**, რომელთაც 2023 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით სრულად არ გადაუხდიათ სწავლის საფასური, მათ შორის:

ა) მე-4 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებიდან - 22;

ბ) მე-5 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებიდან - 6;

გ) მე-6 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებიდან - 1 ;

დ) მე-7 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებიდან - 3;

ე) მე-8 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტებიდან - 7;

ა) მე-4 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტები - 22;

№	სტუდენტის სახელი, გვარი		პასპორტის №	ბსუ-ში ჩარიცხვის ნაკადი
1.	-	საჩინ საილას		მეოთხე
2.	პარიითჰ	შაჰინა		მეოთხე
3.	როილალ	ანანდჰუ ლალ		მეოთხე
4.	მადჰუსოოდანან სუდჰა	კრიშნანუნნი		მეოთხე
5.	-	აბჰინავ გურჯარ		მეოთხე
6.	აჰმად	ანვაარ		მეოთხე
7.	სელვარაჯ დევი	ვიჯაიალაკშმი		მეოთხე
8.	შარმა	ჰარიტაბჰ		მეოთხე
9.	თომას	ანნ მარი		მეოთხე
10.	ტაილორ	ჰიტენ		მეოთხე

11.	ჩოუდჰარი	აბჰიშეკ		მეოთხე
12.	-	ჰიმა რაჯ		მეოთხე
13.	რავიინდრან	არავინდ		მეოთხე
14.	შარმა	იოგეშ		მეოთხე
15.	შრივასტავა	ანტრა დიიპ		მეოთხე
16.	-	ამიინუდდინ აფშაან კჰან		მეოთხე
17.	მასსეი	აშიშ		მეოთხე
18.	ჩაუდჰარი	სანთოშ კუმარ		მეოთხე
19.	-	ვიშნუ		მეოთხე
20.	პოოჯარი	კამლეშ კატალაპპა		მეოთხე
21.	სინგჰ	კუნალ		მეოთხე
22.	გჰადე	აკაშ ჩანდრაკანთ		მეოთხე

ბ) მე-5 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტები - 6;

№	სტუდენტის სახელი, გვარი		პასპორტის №	ბსუ-ში ჩარიცხვის ნაკადი
1.	-	კართიკაი		მეხუთე
2.	იმამ	სიიდ საქიიბ		მეხუთე
3.	გეორგე	ლიჯო		მეხუთე
4.	დჰარმადჰიკარი	სარვეშ		მეხუთე
5.	-	განჯამ სრიკანტჰრაო ვიშნუ		მეხუთე
6.	ტოკას	კატრიკ		მეხუთე

გ) მე-6 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტები - 1;

№	სტუდენტის სახელი, გვარი		პასპორტის №	ბსუ-ში ჩარიცხვის ნაკადი
1.	-	აფზალ ნავაზ ხან		მეექვსე

დ) მე-7 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტები - 3;

№	სტუდენტის სახელი, გვარი		პასპორტის №	ბსუ-ში ჩარიცხვის ნაკადი
1.	უდკარ	ნეჰა		მეშვიდე
2.	ტჰალეშვარ	მადჰავ რამეშ		მეშვიდე
3.	ბოუდჰ	სუდატტ		მეშვიდე

ე) მე-8 ნაკადზე ჩარიცხული სტუდენტები - 7;

№	სტუდენტის სახელი, გვარი		პასპორტის №	ბსუ-ში ჩარიცხვის ნაკადი
1.	გადდე	კირთანა		მერვე
2.	პაინული	აიუშ		მერვე
3.	პრაჯაპატი	სურიაბჰან სუნილ		მერვე
4.	ჩენი	ნაგენდრა		მერვე
5.	-	პატილ შუბჰამ ბალასაჰებ		მერვე
6.	პადჰრესა	მიტ ჯეი		მერვე
7.	ოვაის	მოჰამმედ ტაჰა		მერვე